

რ. ლ. ო. ლ. უ. ა. (თბილისი)

კავკასიის ალბანურის ანბანთრიგის დადგენისათვის
(ალბანური ეპიგრაფიკის ორი ძეგლის განხილვა)

ალბანური ანბანის პარადიგმატიკის კვლევისას ამოსავალია ილ. აბულადის მიერ 1937 წ.¹ აღმოჩენილი ეპიგრაფიკის №7117 ხელნაწერი². ეს ჯერ-ჯერობით, შეიძლება ითქვას, ერთადერთი წყაროა, რომელშიც მოცემულია ალბანური ანბანის ასო-ბგერათა რიგი. არსებობს აგრეთვე არმენოლოგ ა. ქურდიანის მიერ 1956 წ. აშშ –ში აღმოჩენილი XVI ს. სომხური ხელნაწერი³, რომელიც, სავარაუდოდ, ეპიგრაფიკის ხელნაწერის ასლია⁴. ეს ხელნაწერი, მატენადარანის (ეპიგრაფიკის) №7117 ხელნაწერთან შედარებით, გარკვეულ განსხვავებებს იძლევა, როგორც გრაფიკათა მონახულების თვალსაზრისით, ისე მათ სახელდებაშიც (№11 **ⴁ** „მუდ“-ის ნაცვლად გვაქვს „მუდ“, №33 **ⴂ** „შაქ“-ის მაგივრად „ჩაქ“, ხოლო №39 **ⴃ** „ჩაფ“-ის ნაცვლად „დაფ“), თუმცა გრაფიკათა რაოდენობა და ანბანთრიგი ზუსტად ემთხვევა მატენადარანის №7117 ხელნაწერის მონაცემებს.

¹ Абуладзе И. В., К открытию алфавита кавказских албанцев, Известия института языка, истории и материальной культуры им. Акад. Н. Я. Марра, №4, ч. 1, Тбилиси, 1938, 69-71.

² დღეს ეს ხელნაწერი დაცულია ერევანში, მატენადარანის ბიბლიოთეკაში.

³ Kurdian H., The newly discovered alphabet of Caucasian Albanians, Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland, part 1-2, London, 1956, 80-83.

⁴ აკ. შანიძე განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამს ამ ხელნაწერის წარმომავლობის შესახებ. მისი აზრით, ამ ხელნაწერის შემდგენი იგივე დედნით (სავარაუდოდ, X საუკუნის) სარგებლობდა, ოღონდ მატენადარანის ხელნაწერისგან დამოუკიდებლად (Шанидзе А. Г., Новые данные об алфавите кавказских албанцев (второй список албанского алфавита), Труды первой конференции закавказских университетов. Баку, 1959, 204-206).

ჩვენი აზრით, ა. ქურდიანის მიერ მიკვლეულ ხელნაწერში მოცემული ალბანური ანბანის დედანი მატენადარანის №7117 ხელნაწერის ანბანი უნდა იყოს. ამას გვაფიქრებინებს, ორივე ხელნაწერში იდენტური შეცდომების არსებობა, მაგ., №2 ბ (**ⴂ**) გრაფიკას ორივეგან „ოდეთ“ ეწოდება; №3 გ (**ⴃ**) – „ზიმ“; №5 ე (**ⴅ**) – „მზ“... არ გვაქვს ერთი შემთხვევაც იმისა, რომ მატენადარანის ხელნაწერში დაფიქსირებული მცდარი სახელწოდება ა. ქურდიანის ხელნაწერში სწორი ფორმით მოცემული იყოს. ამასვე ადასტურებს ამ წყაროებში წარმოდგენილი ალბანური ასო-ნიშნების მონახულების მსგავსება. თუ გვაქვს განსხვავება, მაშინ ა. ქურდიანის ხელნაწერის ნიშნები უფრო დამახინჯებული სახით გვხვდება.

⁵ სამივე შემთხვევაში მატენადარანის ხელნაწერის ჩვენება სწორია.

იმის დასადგენად, თუ რამდენად სანდოა ზემოთ მოხსენიებულ წყაროებში წარმოდგენილი ალბანური ანბანთრიგი, ვიხელმძღვანელებთ აკად. აკ. შანიძის მიერ შემოთავაზებული მეთოდით, რომელიც მას გამოყენებული აქვს ილ. აბულაძის მიერ აღმოჩენილი ხელნაწერის კვლევისას,¹ სახელდობრ, შევამოწმებთ, თუ რამდენად სწორადაა გადმოცემული ამ ხელნაწერში სხვა (ბერძნული, სირიული, ქართული, კოპტური და არაბული) ალფაბეტების გრაფიკათა რაოდენობა და ანბანთრიგი. ბერძნული-სა და კოპტურის ასო-ბგერათა რაოდენობა და მათი რიგი ზუსტია; სირიულ (ასურულ) ანბანში №21-22 ასო-ნიშნები მოქცეულია №16-18, ხოლო №17 – №18-19 გრაფემებს შორის; ლათინურს მოკლებული აქვს №5 (E) და №22 (W), ხოლო ქართულს №3 ჟ. არაბული ერთადერთი ანბანია, სადაც მნიშვნელოვნად დარღვეულია რიგი. ეს აიხსნება იმით, რომ გადამწერებმა დააღაგეს ასო-ბგერები მარცხნიდან მარჯვნივ, ანუ ტრადიციული არაბული წერის მიმართულების საწინააღმდეგოდ.

უნდა დავასკვნათ, რომ გარკვეული შეცდომები გვაქვს, მაგრამ მათი რიცხვი გაცილებით ნაკლებია გრაფიკულ და გრაფიკათა სახელწოდებებში ფონეტიკურ შეცდომებთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის ალბანური ზემოჩამოთვლილ ანბანთა შორის ყველაზე ვრცელებულია (52 გრაფემა) და XV ს.–მდე (მატენადარანის ხელნაწერის გადაწერის თარიღი) უკვე დიდი ხნით ადრე დაკარგული იყო ალბანური დამწერლობის ტრადიცია, მაინც უნდა მივიჩნიოთ, რომ სომხურ ხელნაწერებში მოცემული ალბანური ანბანის გრაფიკათა რაოდენობა და ანბანთრიგი მთლიანობაში ზუსტი უნდა იყოს. ამის შესახებ მეტყველებს ამ წყაროებში წარმოდგენილ სხვა ალფაბეტთა იგივე მონაცემების გადმოცემის მეტ-ნაკლები სიზუსტე და ალბანური ანბანის ორივე ნუსხის შედარება ერთმანეთთან.

სომხურ ხელნაწერებში წარმოდგენილი ალბანური ანბანის რიგის მეტ-ნაკლები სიზუსტის საილუსტრაციოდ უნდა მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი სინური პალიმფსესტიდან. ერთ-ერთ ფურცელზე (Sin 13 4r-3v) სათაურის ქვეშ შეგვიძლია ამოვიკითხოთ წინადადება:

Օ.ԴԿԿԻՕ.ԴԿ ԴԿ.ԱԼՕ.ԴԿ ԵՏՕ.Դ

უფესუნ პეტროსი ბლო

თქმა–მასდ. პეტრე–ნათ. თრე–მრ.–ნათ.

ეს წინადადება უნდა წავიკითხოთ შემდეგნაირად: “შესრულება (ზედმიწ. “თქმა”) პეტრეს მეორეთაგან [ეპისტოლედან]”. აქ **Ե** **ბ** (ალბანური ანბანის №2 ასო-ბგერა) აღნიშნავს რიცხვს – ორი. მართლაც, მინაწე-

¹ Шанидзе А. Г., Новоткрытый алфавит кавказских албанцев и его значение для науки, Известия института языка, истории и материальной культуры им. Акад. Н. Я. Марра, № 4, ч. 1, Тбилиси, 1938, 1-68.

რი შესრულებულია პეტრეს მეორე ეპისტოლეს სათაურის ქვეშ.

ფურცელზე **Sin 13 27v-28r** გვხვდება მინაწერი არშიაზე, რომელიც იკითხება ასე – **ნჟ** (დ¹)ე. ზემოდანაც და ქვემოდანაც ეს ასო-ბგერები შეერთებულია ქარაგმით. ტექსტში საუბარია მსხვერპლის შეწირვაზე, კერძოდ: ნახმარია სიტყვა – **ჲო-ლნჲ** (კორბა), რომელიც ალბანურში მსხვერპლის აღმნიშვნელი იყო. საფიქრებელია, რომ ამ ასო-ნიშნებით გადმოცემულია ფსალმუნის ნომერი – **95**; №18 **ხ** (დ) = 90; №5 **ქ** = 5. მართლაც, 95-ე ფსალმუნში მსხვერპლის შეწირვის შესახებ არის საუბარი.

ამას ნაწილობრივ ადასტურებს ალბანური ეპიგრაფიკული ძეგლები, კერძოდ: **წარწერა №2 შანდალზე**, სადაც მოცემულია ალბანური ანბანის მონაკვეთი №1–10 და **წარწერა №2 კრამიტის ნატეხზე** (№ 29–32).

წარწერა №2 შანდალზე

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	ი	კ
			იბი				[ჲ]		და
			ნჟ				[ქ]		ლ



შანდალი №2

შანდალი წარმოადგენს ძალზე დაზიანებულ თიხის პირამიდას ვერ-

¹ ფრნხილებით აღენიშნაუთ გრაფემებს, რომელთა ფონემური ღირებულება დაუდგენელია.

ტიკალური ხერხებით.¹ წარწერა გაყოფილია ოთხ ნაწილად: ათი ასო-ნიშანი მოთავსებულია ჰორიზონტალურ წრეზე (№4 გრაფემა წაშლილია და არ იკითხება); სამ-სამი გრაფემა განთავსებულია ვერტიკალურად II და IV მხრის მარჯვენა ფეხებზე; მეოთხე მხრის მარცხენა ფეხზე კი, გვხვდება ცალკეული ნიშანი. სულ 15 ან 16 გრაფემა.

ა. აბრამიანი წარწერას შემდეგნაირად თარგმნის: „მიეტევოს ცოდვები გიუტს“.²

გ. კლიმოვმა პირველმა შენიშნა, რომ შანდალზე მოცემულია ალბანური ანბანის ნაწილი, კერძოდ: №1-10 მონაკვეთი ანბანთრიგის მიხედვით.³

ეს შეხედულება გაიზიარა ს. მურავიოვმა და გამოთქვა აზრი, რომ ვერტიკალურად განლაგებული მონაკვეთები წარმოადგენს ალბანური ანბანის №13-15 (ყსწ) და №40-42 მონაკვეთებს, მაგრამ მკვლევარი შენიშნავს, რომ გრაფიკის ავტორს აერია ერთმანეთში №40 და №41 გრაფემები, ანუ, მისი აზრით, მეორე მონაკვეთი მოცემულია ასეთი სახით: №41-40-42 (აზს).⁴

ჩვენ ვიზიარებთ გ. კლიმოვის მოსაზრებას. ჰორიზონტალური წარწერა მართლაც წარმოადგენს ალბანური ანბანის №1-10 მონაკვეთს. საინტერესოა, რომ წარწერის ასო-ბგერათა თანმიმდევრობა ზუსტად იმეორებს მატენადარანის №7117 ხელნაწერის შესაბამის მონაკვეთს.

სინას პალიმფსესტის შესაბამის გრაფემათა მოხაზულობა თითქმის მთლიანად ემთხვევა ამ გრაფიკის ნიშანთა მოხაზულობას. წარწერაზე გამოსახული ანბანის №2 **ნ ბ** და №8 **პ (ჟ)** ასო-ბგერების თავშეკრული ფორმები გვაფიქრებინებს იმას, რომ გრაფიტი და ალბანური ლექციონარი ერთ პერიოდში უნდა შესრულებულიყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ვერტიკალურად განლაგებული ნიშნები არ წარმოადგენენ ალბანური ანბანის რომელიმე ნაწილს. თუ IV მხარის მარჯვენა ფეხზე გვაქვს №40-42 მონაკვეთი (როგორც ს. მურავიოვს მიაჩნდა), მაშინ შანდალზე უნდა ყოფილიყო გამოსახული ან მთელი ალბანური ანბანი, ანდა მისი №1-42 მონაკვეთი, რაც შეუძლებლად გვეჩვენება, თუ გავითვალისწინებთ შანდლის ზომას (7X7 სმ; სიმაღლე II სმ.) და მასზე გამოსახული გრაფემების ზომებს: დათვლა გვიჩვენებს, რომ შანდალზე გრაფემების მაქსიმალური რიცხვი 34 უნდა ყოფილიყო, თუმცა დაუზიანებელ ადგილებში (მაგ. I მხარის მარცხენა ფეხი, III მხარის მარ-

¹ Багидов Р. М., Минкэчевыр эпиграфик абидэлэранин археоложи характеристикасы, Известия Академии наук Азербайджанской ССР, серия общественных наук, № 4. Баку, 1958, 112-113.

² Абрамян А. Г., Дешифровка надписей кавказских агван, Ереван, 1964, 56-58.

³ Климов Г. А., К чтению двух памятинок агванской (кавказско-албанской) эпиграфики, Вопросы языкознания, № 3, Москва, 1970, 109-110.

⁴ Муравьев С. Н., Три этюда по кавказско-албанской (алуанской) письменности, Ежегодник иберийско-кавказского языкознания, т. VIII, Тбилиси, 1981, 278-279.

ჯგენა ფეხი და ა.შ.) წარწერებისა არავითარი კვალი არ ჩანს.

შანდლის II მხარეს განთავსებული ასოებიდან, პირველი და მესამე **ჟ** ი ასო-ბგერას წარმოადგენს (ანბანის №13), ხოლო შუა (მეორე) **ნ ბ**-ს (№2). შესაბამისად ეს მონაკვეთი უნდა წაკითხულ იქნას – **ჟნჟ** იბი – შდრ. უდიური ბი “მკეთებელი”, “ნაკეთები”.

ს. მურავიოვის მოსაზრებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მონაკვეთის I და III გრაფემა იდენტურია (**ჟ**). წარწერის III ნიშნის (№15 მურავიოვის აზრით) შემთხვევაში, მკლევარი მცდარად აღადგენს მას **გ**¹, იგი არ არის თავშეკრული, შდრ. პალიმფსესტის **ჟ** ნიშანს. მონაკვეთის II გრაფემა ვერანაირად ვერ ჩაითვლება ანბანის №14–დ (**ს**). მას ქვედა რგოლი შეკრული აქვს და ასევე მოეპოვება ზედმეტი მარჯვნივ მიმართული ხაზი, შდრ. პალიმფსესტის **ს**.²

ალბანურ ლექციონარში (სინურ პალიმფსესტში) ხშირად გვხვდება „კეთება“ ზმნის აღმნიშვნელი ესა თუ ის ფორმები. შეგვიძლია დავასახელოთ: **ბიჟ-ა** (აწმყო – შდრ. უდ. აწმყოს მაწარმოებელი -ა; ბეს-ა-ნე „აკეთებს“); **ბიჟ-აჟ**, **ბიჟ-ჟ**, **ბიჟ-აჟნ** (ეს ფორმები ნამყო დროს გამოხატავს. ჩვენი აზრით, პირველი ფორმა ნამყო უწყვეტელი [იმპერფექტი] უნდა იყოს, მეორე ნამყო [პერფექტი], ხოლო მესამე აორისტი; შდრ. უდ. იმპერფექტის მაწარმოებელი -ა-ჟ/-ა-ი – ბეს-ა-ნე-ჟ “აკეთებდა”, პერფექტის მაწარმოებელი -ჟ – ბ-ჟ-ნე “გააკეთა”, ხოლო აორისტის -ი – ბ-ი-ნე “აკეთა”); **ბიჟ-ან** (ბრძანებითის ფორმა; შდრ. უდ. ბრძანებითის მაწარმოებელი -ა; ბ-ა „გააკეთე“).

ამ ფორმების ერთმანეთთან შეპირისპირებით დგინდება, რომ ამ ზმნის ფუძე უნდა იყოს **ბიჟ**. ამასვე მოწმობს მარტივ მაწარმოებლიანი მასდარის, ანუ *მასდარი* I-ის ფორმა, რომელიც დავადასტურეთ ზმნურ კომპოზიტში ბუყანა-ბიჟ-ეს-ა „შეყვარება“, ზედმიწ. **ბუყანა** “სურვილის (საფიქრებელია, რომ ეს აბსოლუტივის ფორმაა) კეთება”–მიც; შდრ. უდ. **ბუყ-ეს** „ყვარება“, „სურვილი“ და **ბ-ეს-ა[ხ]** „კეთება”–მიც. (**ეს**- მასდარი I-ის მაწარმოებელია კავკასიის ალბანურსა და უდიურში). ამ ზმნის მასდარის სრული, ანუ რთულმაწარმოებლიანი ფორმა (*მასდარი* II) ვერ დავიმოწმეთ, თუმცა, სხვა ზმნათა ჩვენების მიხედვით, უნდა იყოს ***ბიჟ-ეს-უნ**.

ამ ფუძის დაშლაც, როგორც ჩანს, შესაძლებელია. ევგ. ჯეირანიშ-

¹ Муравьев С. Н., Три этюда по кавказско-албанской (алуанской) письменности, Ежегодник иберийско-кавказского языкознания, т. VIII, Тбилиси, 1981, 278.

² შდრ. ამ შანდალზე პორიზონტალურ წრეზე გამოსახულ №2 ნიშანს; იხ. სურათი.

ვიღმა უდიურში გამოავლინა თავკიდური უფუნქციო, ზმნის ძირთან შეზრდილ ელემენტთა მთელი წყება, კერძოდ: **ა-, ე-, უ-, უ-, ბა-, ბი-, ბო-, ბო-, ბუ-** და სხვა¹. ეს ელემენტები, ევგ. ჯეირანიშვილის აზრით, გრამატიკული კლას-კატეგორის გაქვავებული ფორმანტები უნდა იყოს².

ჩვენ ხელთ არსებულ ალბანურ მასალაზე დაყრდნობით, ევგ. ჯეირანიშვილის მიერ წარმოდგენილ კლასის ფორმანტთა სიას შეგვიძლია მივუმატოთ **ვა-, ო-, მა-** აფიქსები).

კავკასიის ალბანურის ამოკითხული მასალის საფუძველზე, ალბანურში კლასის ფორმანტთა განაწილების სქემა შეგვიძლია ასეთი სახით წარმოვიდგინოთ³

I კლასისა (მამაკაცის) ***გ > ვა** ფონეტიკური ვარიანტებით: **ო < *ვა, უ < *ვე, უ < *ვეუ ...**

II კლასისა (ქალის)?

III კლასისა (ნივთის) ***ბ** გახმოვანებით: **ბა, ბი, ბო, ბო, ბუ, ბუ...**

IV კლასი⁴

მრავლობითში?

ბუნებრივია, ეს სქემა სრული არ არის (I და III კლასების მიმართებაშიც) და გრამატიკული კლასების საკითხიც ალბანურში საკვლევეია.

აქედან გამომდინარე, განხილული ზმნის ფუძე უნდა დაიშალოს შემდეგნაირად: **ბი-ფ**, სადაც **ბი-** კლასის პრეფიქსი უნდა იყოს⁵; შდრ. ლეზგიურის განუსაზღვრელი კილოს ფორმა **იფი-ზ** „კეთება“. ლეზგიურში ამ ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება „კეთება“ ზმნის დრო-კილოთა უმრავლესობა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მასდარში სხვა ფუძე გვაქვს – **აფ-უნ** „კეთება“. საფიქრებელია, რომ კავკასიის ალბანურშიც „კეთება“ ზმნის დრო-კილოთა ნაწილი სუპლეტური ფორმებით იწარმოებოდა. ალბანურ ლექციონარში დავიმოწმეთ ფორმა **ბა-ლა**, რომელიც, სავარაუდოდ, განხილული ზმნის მყოფადი უნდა იყოს; შდრ. უდიური **ბა-ლ-ლე < ბა-ლ-ნე** „გააკეთებს“ (**-ალ** მყოფადი I-ის მაწარმოებელია უდიურსა და კავკასიის ალბანურში).

წარწერის წარმოდგენილი ფორმა **იბი**, ჩვენი აზრით, ნამყოს მიმღეობაა. იბერიულ-კავკასიურ ენებში, სადაც კლას-კატეგორია განირჩევა, კლასის ფორმანტი მიმღეობაში სუფიქსის სახითაც გვხვდება. ასეთივე

¹ ევგ. ჯეირანიშვილი, უდიური ენა. გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი, თბილისი, 1971, 112-113.

² ჭკვი გვეპარება, რომ **ა-** და **ე-** პრეფიქსები კლასის ფორმანტები იყო.

³ ალბანურ პალიმფსესტში, საფიქრებელია, რომ ზმნას ახასიათებს კლასოვანი უღვლილება.

⁴ ოთხკლასოვან სისტემას საერთოლეზგიურისა და საერთოდადესტნურის მორფოლოგიურ სტრუქტურათა რეკონსტრუქციების საფუძველზე ვვარაუდობთ.

⁵ ამ ზმნის კლასების მიხედვით ცვლის შემთხვევები ვერ დავიმოწმეთ.

ვითარება უნდა გვქონოდა კავკასიის ალბანურშიც – ბი-ჟ-ეს „კეთება“ – ი-ბი < *ჟ-ი-ბი „მკეთებელი“ (წარს.) „ნაკეთები“¹.

შანდლის IV მხარეს გამოსახული ასო-ბგერებიდან I (ქვედა) ანბანის №41 **ჟ** წარმოადგენს (ეს ასო-ნიშანი უეჭველად **ღ** ფონემას აღნიშნავდა და ეს საესებით მტკიცდება პალიმფსესტის მასალით. ჩვენ ზ. ალექსიძისგან განსხვავებული მოსაზრება გვაქვს იმის შესახებ, თუ მატენადარანის ნუსხის რომელ გრაფემასთან უნდა იყოს იდენტიფიცირებული ეს ნიშანი. ზ. ალექსიძე მას ანბანის №37 ასო-ბგერად მიიჩნევდა,² ხოლო ჩვენ №41 -დ); II **ჟ** ა (№1), ხოლო III **ჟ** რ (№ 42). შესაბამისად აღნიშნული მონაკვეთი უნდა წავიკითხოთ, როგორც **ჟჟჟ ღარ**; შდრ. უდიური **ღარ** „ვაჟი“, „ბიტი“. ამ შემთხვევაში, საფიქრებელია, რომ საქმე გვაქვს მამაკაცის საკუთარ სახელთან. ასეთი ტიპის ანთროპონიმები იშვიათობას არ წარმოადგენს, მაგ.: ქართული საკუთარი სახელები „**ბიტიკო**“, „**ჭაბუკი**“ და სხვა. დამატებით არგუმენტად შეგვიძლია მოვიყვანოთ ის, რომ ასეთი სახის ნაკეთობებზე, ავტორის მიერ თავისი სახელის გამოსახვის შემთხვევები ძალზე ხშირია.

გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ეს სახელი სახელობითი ბრუნვის ფორმაშია. ცნობილია, რომ უდიურში მიმდებარეობს ისევე მართავს სახელს, როგორც ზმნის დრო-კილოიანი ფორმა და, შესაბამისად, აქ ერგატივის ფორმა უნდა გვქონდეს, მაგ., უდ. **ღარ-ენ ბი აშ** „ვაჟის (ერგ.) ნაკეთები საქმე“ („ვაჟის მიერ გაკეთებული საქმე“).

ამის ასახსნელად შეგვიძლია ორი ვარაუდის გამოთქმა: 1. საქმე გვაქვს ასეთი ტიპის სინტაქსურ კონსტრუქციასთან, სადაც მიმდებარეობს გამოყენებული მსაზღვრელად; შდრ. უდ. **ქატუხ ბი ღარ შუა** „ამის (მიც.) მკეთებელი ვაჟი (სახ.) ვინ არის?“; **ქატუხ ბი ადამარ პურიყან** „ამის მკეთებელი ადამიანი მოკვდეს!“. ეს ამ შემთხვევაში წარწერის საერთო ხასიათიდან გამომდინარე ნაკლებად მოსალოდნელია, რადგან, წარწერაზე ჰორიზონტალურად გამოსახული ალბანური ანბანის მონაკვეთის (№1-10) გრაფემათა თანმიმდევრობის მიხედვით, ჩვენ ადვილად შეგვიძლია დავალაგოთ ვერტიკალურად შესრულებული მინაწერებიც. სიტყვა **ღარ** განთავსებულია შანდლის ბოლო IV მხარის მარჯვენა, ასევე ბოლო ფეხზე. ამავე დროს, მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ასეთი ტიპის წინადადებაში აუცილებელია შემასმენელი, რომელიც ქვემდებარეს (**ღარ**) უნდა მოსდევდეს.

¹ კავკასიის ალბანურში, ამ ტიპის მიმდებარეობა წარმოებისას ზმნის კლასის აღმნიშვნელი პრეფიქსი მას არ გადაეყვება, მაგ., **ბუყანა** „სურვილი“, „ყვარება“ > **ხი-ბუ** < ***ყი-ბუ** „მოყვარე“...

² ზ. ალექსიძე, კავკასიის ალბანეთის დამწერლობა, ენა და მწერლობა, თბილისი, 2003, 101.

2. წინადადებაში უნდა ყოფილიყო შემასმენელი მეშველი ზმნის სახით (პალიმფსესტში **ვაა//ვა**, „ყოფნა“-აწმყო I კლასისთვის; **ბაა//ბა** III კლასისთვის).

ჩვენი აზრით, მეშველი ზმნა უნდა აღვადგინოთ IV მხარის მარცხენა ფეხზე, რომელიც ძალზე დაზიანებულია. იქ გვხვდება ნიშანი და მისი ზუსტი იდენტიფიკაცია შეუძლებელია. საფირებელია, რომ წარწერა ასეთი სახით უნდა აღდგეს **ⴌⴓⴓ ⴒⴓⴓ ⴓⴓⴓ** (იბი [ვა] ღარ) „[შანდალის] მკეთებელი (ვარ)¹ ღარი“.

წარწერა №2 კრამიტის ნატეხზე

[—?] **ⴓ ⴓ ⴓ ⴓ ⴓ ⴓ** (ჯ) (შ)? ? [—?]



ნატეხი რომელიღაცა კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტს წარმოადგენს. ზომებია 16X4 სმ. წარწერა შედგება 4 მკაფიო და 1 ან 2 გაურკვეველი, ნაწილობრივ წაშლილი გრაფემისგან.²

ა. აბრამიანი წარწერას შემდეგნაირად თარგმნის: „უბადრუკი“, ტრანსკრიფციით **მაღარ**.³

გ. კლიმოვის თარგმანია: **მანას[ე]** (საკუთარი სახელია, მკვლევარის აზრით).⁴

ს. მურავიოვის აზრით, წარწერა წარმოადგენს ანბანის ფრაგმენტს (№ 29-33), მაგრამ მიიჩნევს, რომ გრაფიტის ავტორმა №32 ასო-ბგერის მაგიერ შეცდომით გამოსახა მასზე №34.⁵

ჩვენ ვიზიარებთ ს. მურავიოვის მოსაზრებას ერთი შენიშვნით. ვფიქრობთ, რომ წარწერის ავტორს არ დაუშვია შეცდომა. ჩვენი აზრით, მატენადარანის ხელნაწერის ანბანში №32 გრაფემა (**ⴓ**) დამახინჯებული სახით გვხვდება: საკმარისია ავწიოთ მისი მარცხენა კაუჭი, რომ მივი-

¹ კაკაისის ალბანურის ზმნა პირის კატეგორიას არ განარჩევს.

² Вахидов Р. М., Минкәчевыр эпиграфик абидаләранин археоложи характеристикасы, Известия Академии наук Азербайджанской ССР, серия общественных наук, № 4. Баку, 1958, 113.

³ Абрамян А. Г., Дешифровка надписей кавказских агван, Ереван, 1964, 58-59.

⁴ Климов Г. А., К состоянию дешифровки агванской (кавказско-албанской) письменности, Вопросы языкознания, № 3, Москва, 1967, 78.

⁵ Муравьев С. Н., Три этюда по кавказско-албанской (алуанской) письменности, Ежегодник иберийско-кавказского языкознания, т. VIII. Тбилиси, 1981, 280-281.

ღოთ წარწერის №4 გრაფემა. გრაფიტის ეს გრაფემა არ შეიძლება ჩაითვალოს №34-დ **ჟ** (ჯ). იგი თავშეკრული არ არის და დამატებითი მარჯვნივ მიმართული ხაზი აქვს.

წარწერის გრაფემები პალიმფსესტის შესაბამის ასო-ბგერათაგან მოხაზულობით განსხვავდებიან. გვაქვს საფუძველი ვივარაუდოდ, რომ ეს გრაფიტი ალბანურ ლექციონარზე ადრე შესრულდა. ამას მოწმობს №30 (წარწერის №2 ნიშანი) გრაფემის ფორმა. მას, პალიმფსესტის ანალოგიური ასო-ბგერისაგან განსხვავებით, მეორე დამატებითი ქვედა ხაზი აქვს. უნდა აღინიშნოს, რომ ალბანურ პალიმფსესტში 3 გრაფემას **ჟ ჟ ჟ** (№1, №19, №30), თითქმის იდენტური მოხაზულობა აქვთ, რაც შეუძლებელია ალბანური ანბანის შემქმნელს ასეთი სახით ჰქონოდა წარმოდგენილი. ჩვენი აზრით, ანბანის შედგენის დროს, ამ ასო-ბგერებს მკაფიოდ განმასხვავებელი ელემენტები უნდა ჰქონოდა, შდრ.; სომხური **զ (ზ)** და **զ (ჯ)**; **զ (d)** და **զ (h)**, რომელთაც V ს. სომხურ ეპიგრაფიკაში განსხვავებული მოხაზულობა აქვთ, მაგრამ შემდეგ ემსგავსებიან ერთმანეთს.

ჩვენი ვარაუდით, №30-ს გამარტივება სწრაფწერის ინტერესითაა ნაკარნახევი, რამაც დაარღვია მისი ოპოზიცია №1 **ჟ** და №19 **ჟ** ნიშნებთან.

წარწერის მეხუთე, ნაწილობრივ დაზიანებული გრაფემა შესაძლებელია იყოს ანბანის №33 **ჟ (შ)** (შდრ. ანალოგიური გრაფემის მოხაზულობა წარწერაზე კრამიტის ნატეხზე №1, გრაფემა №8; იხ. ფოტოსურათი¹). ჩვენი აზრით, ამ გრაფემის იდენტიფიკაცია არ შეიძლება არც №42-თან (**ა**)² და არც №43-თან (**h**).³

საფიქრებელია, რომ აქაც გვაქვს მატენადარანის №7117 ხელნაწერის ანბანის №29-33 მონაკვეთის ზუსტი შესატყვისი.

წარწერა №2 კრამიტის ნატეხზე საინტერესოა სხვა მხრივაც. უნდა ვივარაუდოდ, რომ იმ ჭურჭელზე, რომლის ნატეხსაც იგი წარმოადგენს, მთლიანად წარმოდგენილი იყო ალბანური ანბანი. გამომდინარე იქიდან, რომ კრამიტის ნატეხზე პირველი გრაფემის წინ ცარიელი ადგილია, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასზე გამოსახული ანბანი გაყოფილი იყო მონაკვეთებად. მაინც რამდენ გრაფემიანი მონაკვეთები უნდა გვქონოდა? თუ გავითვალისწინებთ, რომ პირველი გრაფემა ანბანის №29-ს წარმოადგენს, წინ უნდა გვქონოდა 28 ასო-ბგერა ან შეიძლება მეტი, მაგრამ არავითარ

¹ Муравьев С. Н., Три этюда по кавказско-албанской (алуанской) письменности, Ежегодник иберийско-кавказского языкознания, т. VIII. Тбилиси, 1981, 273.

² Абрамян А. Г., Дешифровка надписей кавказских агван, Ереван, 1964, 58-59.

³ Климов Г. А., К состоянию дешифровки агванской (кавказско-албанской) письменности, Вопросы языкознания, № 3, Москва, 1967, 78.

შემთხვევაში ნაკლები. ეს ვარაუდი გამყარებულია იმ ფაქტით, რომ მატე-ნადარანის ხელნაწერის ანბანურ ნაწილში არც ერთი ფაქტი არა გვაქვს ზედმეტი გრაფემის დამატებისა (გარდა არაბულისა, სადაც ორჯერ მეორდება ერთი და იგივე ასო-ბგერა), დაკლების შემთხვევები კი ხშირია. 28 იყოფა 2-ზე, 4-ზე, 7-ზე და 14-ზე. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ თითოეული მონაკვეთი 5-6 გრაფემაზე ნაკლები არ შეიძლება ყოფილიყო (წარწერაზე გამოსახულ გრაფემათა რაოდენობა). გამოდის, რომ დალაგების პრინციპი უნდა ყოფილიყო 28X2, 14X4 ან კიდევ 7X8 და ჯამი იქნება 56. შესაძლოა, ბოლო მონაკვეთი ყოფილიყო ნაკლები, მაგრამ ყველა შემთხვევაში ჩვენ ვიღებთ 52-ზე (ალბანური ანბანის გრაფემათა რაოდენობა სომხურ ხელნაწერთა მიხედვით) დიდ ციფრს (სავარაუდოდ 55-56), შდრ. ზ. ალექსიძის მოსაზრებას: „ალბანურ ტექსტში გრაფემათა საერთო რაოდენობა უნდა ყოფილიყო 54-56“;¹ ა. აბრამიანიც მიიჩნევდა, რომ სომხურთან, ქართულთან და ბერძნულთან ანალოგიით, რომელთა ასო-ბგერათა რაოდენობა რიცხვით მნიშვნელობათა გამოხატვისათვის იყოფოდა 9-ზე, ალბანურშიც უნდა ყოფილიყო 54 გრაფემა.²

საპირისპირო არგუმენტად შეიძლება გამოდგეს ის, რომ ალბანური ანბანის სომხურთან შედარებისას ვლინდება საინტერესო მათემატიკური კანონზომიერება. თუ დავყოფთ ალბანურ და სომხურ ალფაბეტებს ორ ან ოთხ ნაწილად, მივიღებთ თანაფარდობას ალბანური ასო-ბგერებისა თავის სომხურ შესატყვისობებთან. თუ დავყოფთ ორ ნაწილად: I ნაწილში ალბანურის 26 ასო-ბგერას უდრის 18 სომხური; II ნაწილში 26=18.

თუ დავყოფთ ოთხ ნაწილად: I ნაწილში 13=11; II ნაწილში 13=7; III ნაწილში 13=7; IV ნაწილში 13=11.

თუ დავუშვებთ, რომ ალბანურ ანბანს 52-ზე მეტი ასო-ნიშანი ჰქონდა, ბუნებრივია, ეს პროპორციები ირღვევა.

აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ ამას შემთხვევითობას მივაწერთ. ასეთი სახის რაიმე კანონზომიერება არ ვლინდება სომხურისა (რომელიც უეჭველია ემყარება ბერძნულ პარადიგმატიკას) და ბერძნულის შედარებისას.

კვლავ გვინდა მივუბრუნდეთ სომხურ ხელნაწერებში მოცემულ ანბანთრიგის საკითხს. შესაძლებელია გამოითქვას ვარაუდი, რომ ამ ხელნაწერთა გადამწერებმა დააღაგეს ალბანური ნიშნები სომხურ ანბანთრიგზე და, შესაბამისად, ჩვენ კავკასიის ალბანურ ანბანს დამახინჯებული სახით ვიცნობთ.

ეს ვარაუდი მართებულად არ მიგვაჩნია, რადგან ალბანური ანბანთრიგი ნაწილობრივ დადასტურებულია ორი განხილული არასრული ეპიგრაფიკული ნუსხით და ალბანური პალიმფსესტის მასალით.

ყურადღებას გავამახვილებთ ზოგიერთი გრაფემის პოზიციაზე.

¹ ზ. ალექსიძე, კავკასიის ალბანეთის დამწერლობა, ენა და მწერლობა, თბილისი, 2003, 151.

² Абрамян А. Г., Дешифровка надписей кавказских агван, Ереван, 1964, 34.

1. ალბანური ანბანის №8 **ჲ** „ჟილ“-ს გამოსახავს გრაფიტი №2 მან-დალზე №7 **ლ** და №9 **ჟ** –ს ნიშნებს შორის. ეს ასო-ბგერები ბერძნულ η და θ -ს შეესატყვისება და ცნობილია, რომ ბერძნულში ამ გრაფემებს შორის არავითარი ნიშანი არ გვხვდება.

2. ალბანური ანბანის №30 **ჟ** „ჟარ“-ს გამოსახავს გრაფიტი №2 კრამიტის ნატეხზე **ჟ** (მ) და **ჟ** (ნ) ასო-ნიშნებს შორის, ბერძნულში კი μ და ν -ს შორის გრაფემა არ გვაქვს.

3. პალიმფსესტის მასალით დამტკიცდა, რომ **ბ** „დან“-ის რიცხვითი მნიშვნელობა არის 90, მაშასადამე იგი ალბანური ანბანის №18 გრაფემაა, ბერძნულში კი მის ადგილას „ეპისემონი“ **ε** „ეპა“ გვხვდება.

მოყვანილი მაგალითებით მტკიცდება, რომ ალბანური მართლაც განაბნევს თავის სპეციფიკურ ასო-ბგერებს „ბერძნული“ ნაწილის ნიშნებს შორის¹. აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ სომხურ ხელნაწერებში წარმოდგენილი ალბანური ანბანის რიგი ნდობას იმსახურებს და ალბანური ანბანის კვლევა ამ ნუსხათა მონაცემებზე უნდა იყოს დაფუძნებული.

¹ ეს აახლოვებს ალბანურ ანბანს სომხურთან, თუმცა ლოგიკურია იმის დაშვებაც, რომ ალბანურში, ასო-ნიშანთა დალაგების ეს პრინციპი სომხურისაგან დამოუკიდებლად წარმოიქმნა.

სომხური საისტორიო წყაროების, კავკასიის ალბანური ანბანის პარადიგმატიკისა და გრაფიკული საფუძვლების კვლევამ გვიჩვენა, რომ მაშტოცის (იგივე მესროპის) მონაწილეობა ალბანური ანბანის შექმნაში, სრულიად გამორიცხულია. თუ ალბანური, მართლაც, მაშტოცის შედგენილია, ბუნებრივია, ის ისეთივე დამოკიდებულებაში იქნებოდა სომხურთან, როგორც ეს უკანასკნელი ბერძნულთან, შდრ.: სომხური ანბანი 21 ბერძნულ ასო-ბგერას იყენებს, ანუ კლასიკური ბერძნულის №1-24 ნაწილს, „ეპისემონთა“ გამოკლებით. სომხურში ზუსტად დაცულია ამ ბერძნულ ასო-ბგერათა თანმიმდევრობა და ფონემური მნიშვნელობები, თუ არ ჩავთლით ლ/ღ და რ/ნ-ს, მაგრამ აქაც მსგავსი ჟღერადობის ფონემები გვაქვს.

ალბანურისა და სომხურის შედარებისას კი ირკვევა, რომ, სულ მცირე, ოთხი სომხური ბგერის ალბანური ანბანის ფონეტიკურ შესატყვისებს ალფაბეტში სხვა ადგილი უჭირავთ, მიუხედავად იმისა, რომ ანალოგიური ჟღერადობის ბგერები ალბანურს ჰქონდა. სომხურ ქ -ს (ჟ) შეესატყვისება ალბანური **ჟ** (ყ), სომხურ ღ -ს (ჯ) –ალბანური **დ** (დ)... ასევე არსებითად განსხვავებულია ორივე ანბანის გრაფიკული სტრუქტურებიც. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის მიუღებელია იმ მეცნიერთა აზრი, რომლებიც ალბანურს *a priori* სომხურისაგან მიმდინარედ მიიჩნევდნენ (ა. აბრამიანი; ს. მურავიოვი...). ამა თუ იმ დამწერლობათა წარმოშობასთან დაკავშირებულ საკითხთა კომპლექსური კვლევა სიფრთხილეს საჭიროებს.

კავკასიის ალბანური ენისა და დამწერლობის შესახებ საკითხები და, მათ შორის, ალბანური ანბანის გენეზისის პრობლემა განხილულია ჩვენს მონოგრაფიაში „კავკასიის ალბანური ენის სტრუქტურის საკითხები“, რომლის გამოქვეყნება წელს ივარაუდება.

Р. Л о л у а (Тбилиси)

**К установлению порядка значений кавказско-албанского алфавита
(обзор двух памятников албанской эпиграфики)**

В вопросе о порядке значений кавказско-албанского алфавита необходимо опираться, прежде всего, на найденную И.В. Абуладзе в 1937 г.¹ эчмиадзинскую № 7117 рукопись². Это практически единственный источник, в котором, как следует полагать, дан полный перечень албанских букв и их фонетические значения. Также существует найденный в США в 1953 г. арменологом А. Курдяном³ предположительно более поздний список вышеназванной рукописи.⁴ Эта рукопись обнаруживает некоторые расхождения с эчмиадзинским (матенадаранским) списком как в графике, так и в названиях графем (№ 11 **Თ** вместо «jud» — «mud»; №33 **Თ** вместо «šak» — «čak»; №39 **Თ** вместо «čaj» — «jaj»⁵), хотя алфавитный ряд и количество букв точно соответствуют данным в матенадаранской рукописи.

Для того, чтобы определить насколько можно доверять интересующим нас показателям кавказско-албанской азбуки в указанных источниках, мы используем

¹ Абуладзе И. В., К открытию алфавита кавказских албанцев, Известия Института языка, истории и материальной культуры им. акад. Н. Я. Марра, №4, ч. 1, Тбилиси, 1938, 69-71.

² Ныне она хранится в библиотеке «Матенадаран» в Ереване.

³ Kurdian H., The newly discovered alphabet of Caucasian Albanians, Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland, part 1-2. London, 1956, 80-83.

⁴ Иное предположение по поводу происхождения этого списка высказал А.Г. Шанидзе. Как полагает исследователь, данный в рукописи кавказско-албанский алфавит переписан непосредственно с общего для обеих рукописей и, предположительно относящегося к X в, оригинала. (Шанидзе А. Г., Новые данные об алфавите кавказских албанцев (второй список албанского алфавита), Труды первой конференции закавказских университетов. Баку, 1959, 204-206).

По нашему мнению, албанский алфавит, представленный в рукописи А. Курдяна (XVI в.) списан с матенадаранской №7117 рукописи (XV в.). На это указывает наличие идентичных ошибок в обеих рукописях, так напр. буква №2 **Თ** (b) в обоих списках передана как **o** „odet“; №3 **Თ** (g) — „zim“; №5 **Თ** (e) — „eb“... Нет ни одного случая, чтобы искаженное название той или иной буквы по матенадаранской рукописи в списке, найденном А. Курдяном, было бы дано в правильной форме. Также наше мнение подтверждается сопоставлением графем обоих списков. Если имеются расхождения между ними, то начертания форм рукописи А. Курдяна носят более искаженный характер.

⁵ Во всех трех случаях правильное фонетическое значение этих букв дано в матенадаранском списке.

метод, подсказанный акад. А.Г. Шанидзе при изучении найденной И.В. Абуладзе рукописи.¹ Можно проверить, насколько точно переданы в матенадаранском списке порядок в перечислении и количество графем в других алфавитах: греческом, латинском, грузинском, коптском и арабском. В греческом и коптском ошибок нет. В сирийском алфавите буквы № 21-22 помещены между № 16-18, а № 17 между № 18-19. В латинском отсутствуют две графемы – № 5 (E) и № 22 (W), а в грузинском № 3 ჳ, «gan». Единственный алфавит, в котором значительно нарушен порядок, — арабский. Это объясняется тем, что переписчики расположили арабские буквы слева направо, т.е. нарушили этим традиционное арабское направление написания.

Несмотря на вышеуказанные ошибки, следует отметить тот факт, что их количество заметно уступает количеству ошибок графического и фонетического (в названиях букв) порядка. Исходя из вышесказанного, можно заключить: несмотря на то, что кавказско-албанский алфавит среди вышеприведенных самый внушительный (52 графемы), и к моменту переписки нашего источника (XV в.) в течение долгого времени уже не употреблялся, представленный в указанной рукописи алфавитный порядок, в целом, заслуживает доверия. Об этом свидетельствует более или менее точная передача тех же данных других алфавитов в представленном источнике и сравнение обоих списков албанского алфавита друг с другом.

В доказательство «пригодности» алфавитного порядка армянских списков можно привести несколько примеров из албано-грузинского палимпсеста: в Sin 13 4r-3v под заголовком можно прочесть:

ო-ჴჴ-ჴო-ჴჴ ჴჴ-ჴო-ჴჴ ბჴო-ჴ

upesun petrosi b-γoj

сказать—масд. петр—род 2—мн.—род.

Это предложение можно перевести не иначе, как «исполнить (досл. «сказать») из второй [эпистоли] Петра». Действительно, приписка стоит рядом с заголовком второй эпистоли Апостола Петра. Здесь **ბ b** (№2 буква албанского алфавита) употребляется вместо числа и означает 2.

В Sin 13 27v-28r есть приписка на средней части полей, которая читается, как **ბჴ (d²)ე**. Сверху и снизу графемы соединены титловыми знаками. В тексте говорится о жертвоприношении, так как встречается слово **ჴო-ბჴჴ korba** «жертва». Представляется, что этими буквами передан номер псалма;

¹ Шанидзе А.Г., Новооткрытый алфавит кавказских албанцев и его значение для науки, Известия института языка, истории и материальной культуры им. акад. Н. Я. Марра, № 4, ч. 1, Тбилиси, 1938, 1-68.

² Скобками обозначаем графемы с неустановленными фонетическими значениями.

№11 **h(d) = 90**; № 5 **J- e = 5**. Действительно, в 95 псалме упоминается приношение жертвы.

Это косвенно подтверждает и кавказско-албанская эпиграфика, а именно «*надпись на подсвечнике № 2*», в котором дан фрагмент албанского алфавита №1-10 и «*надпись на черепке № 2*» (№29-32).

Граффити на подсвечнике № 2

ა a	ბ b	გ g	?	დ e	ზ z	ც ej	ქ (ž)	ტ t	ლ (č)
				ი bi				[va]	არ

Подсвечник представляет собой четырехгранную усеченную пирамиду из обожженной глины со сквозным отверстием вдоль вертикальной оси и четырьмя ножками. Этот подсвечник грубой лепки, и его поверхность имеет склонность крошиться.¹ Надпись состоит из четырех частей: 10 графем, расположенных по кругу горизонтально (из них, графема № 4 стерта); двух отрывков, состоящих из трех букв и расположенных вертикально вдоль вторых (правых) ножек II и IV грани, и, одиночного знака на первой ножке IV грани. Всего 15 или 16 графем.

А.Г. Абрамян переводит надпись следующим образом: «Да будут отпущены грехи Гюту».²

Г. А. Климов первым заметил, что на подсвечнике дан фрагмент алфавита № 1-10.³

Эту точку зрения поддержал С.Н. Муравьев и высказал предположение, что и вертикально расположенные буквы являются отрывками алфавита № 13-15 (**ЧбГ**) и № 40-42, с замечанием, что перепутаны буквы № 40 и № 41, т. е. второй отрывок дан в следующей последовательности: №40-42-41 (**сГл**).⁴

Можно полностью согласиться с мнением Г.А. Климова. Горизонтально расположенные буквы, действительно, являются фрагментом алфавита №1-10.

¹ Вахидов Р. М., Минкэчевыр эпиграфик абидалэранин археоложи характеристикасы, Известия Академии наук Азербайджанской ССР, серия общественных наук, № 4. Баку, 1958, 112-113.

² Абрамян А.Г., Дешифровка надписей кавказских агван, Ереван, 1964, 56-58.

³ Климов Г. А., К чтению двух памятинок агванской (кавказско-албанской) эпиграфики, Вопросы языкознания, № 3, Москва, 1970, 109-110.

⁴ Муравьев С. Н., Три этюда по кавказско-албанской (алуанской) письменности, Ежегодник иберийско-кавказского языкознания, т. VIII, Тбилиси, 1981, 278-279.

Интересно, что порядок, в котором расположены буквы надписи, полностью совпадает с соответствующим отрезком матенадаранской № 7117 рукописи.

Начертания знаков этой надписи практически идентичны с формами соответствующих букв палимпсеста. Нераскрытые окружности таких графем надписи, как №2 **Б** **b** и №8 **Р** (**ž**), дают основание предполагать, что албанский лекционарий и эта надпись выполнены в один период.

Вертикально расположенные графемы не представляют какой-либо части албанского алфавита. Исходя из простой логики, если на четвертой ножке имеется фрагмент алфавита № 40-42 (как считал С.Н. Муравьев), то нужно полагать, что на подсвечнике был изображен либо весь албанский алфавит, либо, по крайней мере, его отрывок № 1-42. Если принять во внимание размеры подсвечника — высоту 11см, основание 7х7 см, и размеры размещенных на нем графем, то максимальное число букв на подсвечнике не могло превышать 34 единицы. При этом необходимо учесть, что на неповрежденных участках подсвечника (напр., левая ножка I грани и правая ножка III грани) нет следов надписей.



Подсвечник №2

Из графем, расположенных на правой ножке второй грани I и III представляют № 13 **Ч** **i**, а II (средняя) — № 2 **Б** **b**. Следовательно, этот отрывок должен быть прочитан как — **ЧБЧ ibi** (срв. удийское **bi** «сделанный», «делавший»).

По поводу мнения С.Н. Муравьева, необходимо отметить, что I и III графемы отрезка (**Ч**) ничем друг от друга не отличаются; в случае третьей графемы надписи отрезка С.Н.Муравьев неверно восстанавливает для нее (№15 **И**)

о-образный верх ¹. Материалы палимпсеста показывают, что это ошибочная форма, срв. с графемой  палимпсеста. II букву отрезка нельзя идентифицировать как №14  алфавита, у нее о-образный, а не и-образный низ и лишняя черта наверху, срв. с графемой  палимпсеста².

В албанском палимпсесте часто употребляются те или иные формы глагола со значением «делать». В числе таких необходимо отметить: **bij-a** (настоящее время – срв.: удийский показатель презенса -a; bes-a-ne «делает»); **bij-aj**; **bij-e**; **bij-ajn** (эти формы выражают прошедшее время. По нашему мнению, первая – это имперфект, вторая – перфект, а третья – аорист, срв.: удийский формант имперфекта -a-j // -a-i; bes-a-ne-j «делал», формант перфекта -e, b-e-ne «сделал» и формант аориста -i – b-i-ne «делал»). **bij-an** (повелительное наклонение, срв.: удийский показатель императива -a ; b-a «делай»).

Путем сопоставления этих форм можно установить основу данного глагола – **bij**. Это подтверждается формой *масдара I*-го, которую мы зафиксировали в составе сложного глагола **buqana-bij-es-a** «полюбить»-род., **buqana** «желать» (нужно полагать, что это слово стоит в форме абсолютива) + «делать», срв.: удийские **buq-es** «любить», «желать» и **b-es-a[x]** «делать»-DAT. (-es – показатель масдара I в кавказско-албанском и удийском языках). Форму *масдара II* мы не засвидетельствовали, но, по показаниям других глаголов, ее можно реконструировать в следующем виде: ***bij-es-un**.

Мы предполагаем, что можно разложить и основу исследуемого глагола. Е.Ф. Джейранишвили в удийском языке выявил целую серию окаменелых префиксов грамматических классов, это: **a-, e-, u-, uə-, ba-, bi-, bo-, boə-, bu-...**³ К приведенным Е.Ф. Джейранишвили формантам⁴, которые присутствуют и в кавказско-албанском языке, на основании албанского материала, можно добавить аффиксы **va-, o-, ja-** ...

По нашему мнению, распределение формантов грамматических классов в кавказско-албанском языке можно представить в виде следующей схемы:⁵

I класс (мужчины): * **v** > **va**: с фонетическими вариантами: **o** < ***va**, **u** < ***vu**, **uə** < ***vuə**...

¹ Муравьев С.Н., Три этюда по кавказско-албанской (алуанской) письменности. Ежегодник иберийско-кавказского языкознания, т. VIII, Тбилиси, 1981, 278.

² Срв. с №2 буквой горизонтальной надписи на этом подсвечнике, см. фото.

³ Джейранишвили Е.Ф., Удийский язык. Грамматика. Хрестоматия. Словарь., Тбилиси, 1971, 112-113 (на груз. яз.).

⁴ Трудно согласиться с той частью мнения Е. Ф. Джейранишвили, согласно которой, **e-** и **a-** – это окаменелые классные префиксы.

⁵ Глагол кавказско-албанских письменных памятников, по-видимому, все еще изменяется по классам.

II класс (женщины): ?

III класс (вещей): * **b** – с огласовкой: **ba, bi, bo, boʔ, bu, buʔ...**

IV класс: ?¹

Во множественном числе: ?

Нужно отметить, что эта схема не полная (в том числе и по отношению к I и III классам), и вопрос грамматических классов в кавказско-албанском требует углубленного изучения.

Исходя из вышесказанного, интересующую нас основу можно разложить следующим образом: **bi-j**, где **bi-**, по-видимому, префикс грамматического класса², срв.: форму неопределенного (целевого) наклонения лезгинского языка **iʃi-z** «делать», от которой образуется большая часть форм времен и наклонений этого глагола, хотя нужно отметить, что масдар образуется от другой основы – **av-up** «делать». Часть времен и наклонений рассматриваемого нами глагола кавказско-албанского языка также, возможно, образовывались супплетивно. В палимпсесте мы зафиксировали форму **b-ala**, которая должна, по нашему мнению, обозначать будущее время данного глагола, срв. удийский **b-al-le** < **b-al-ne** «сделает» (**-al** формант будущего I-го в удийском и кавказско-албанском языках).

Мы предполагаем, что представленная форма **ibi** является причастием прошедшего времени. В тех иберийско-кавказских языках, в которых сохранена категория грамматических классов, формант класса в причастиях, помимо префикса, может выступать и в виде суффикса. Такое же положение имело место и в кавказско-албанском: **bi-j-es** «делать» – **i-bi** < ***ji-bi** «сделанный», «сделавший»³.

Из букв на правой IV ножке I (нижняя) является № 41 **Ბ**, II (средняя) – **Გ** **a**, а III (верхняя) – **Დ r**.

Первая буква, безусловно, обозначала фонему **γ**. Это подтверждается материалами палимпсеста. Мы расходимся во мнении с З.Н. Алексидзе по поводу того, с какой буквой матенадаранского списка ее нужно идентифицировать. Он считает ее № 37 албанского алфавита,⁴ мы – № 41.

Фрагмент, соответственно, нужно читать как **ᲑᲒᲓ γar** (срв. удийское **γar** «сын», «парень», «мальчик»). Мы считаем, что в данном случае это имя собственное (срв. груз. собственные имена **biǰko** «паренек» или **ǰbuǰi** «молодой человек»). В качестве дополнительного аргумента можно привести тот факт, что слу-

¹ Четыре грамматических класса предполагаем исходя из реконструкций общелезгинского и общеджагестанского состояний.

² Изменение этого глагола по грамматическим классам нами не было засвидетельствовано.

³ В кавказско-албанском при образовании этого типа причастий классный префикс глагола опускается, напр. **bu-q-es-up** «любить», «желать» > **xi-bu** < ***qi-bu** «любящий»...

⁴ Алексидзе З.Н., Писменность, язык и литература Кавказской Албании, Тбилиси, 2003, 101 (на груз. яз.).

чаи изображения автором своего имени на изделиях такого рода нередки.

Непонятно, почему слово стоит в именительном падеже. Мы имеем причастную форму переходного глагола, и известно, что в удийском языке причастие так же управляет именем, как временная форма глагола и, соответственно, имя **yar** должно стоять в эргативном падеже.

Для объяснения этого можно предположить: 1. Мы имеем такую синтаксическую конструкцию, в которой причастие употреблено в функции определяющего, срв.: удийские *kaṭux bi yar šu-a* «это (дат.) делавший мальчик (им.) кто такой?» *kaṭux bi adamar purigan* «это делавший человек пусть умрет!». В данном случае, исходя из общей характеристики надписи, это предположение представляется нам маловероятным. Следуя последовательности букв размещенного на подсвечнике отрывка албанского алфавита (№1-10), мы можем легко расположить и вертикальные приписки. Надпись должна заканчиваться словом **yar**, так как оно находится на правой ножке IV (последней) стороны подсвечника. В то же время, как явствует из вышеприведенных примеров, в таких синтаксических конструкциях необходимо сказуемое в постпозиции к подлежащему (**yar**).

2. В предложении должно было быть сказуемое в качестве вспомогательного глагола вспомогательного глагола, в палимпсесте **-vaa//va** «быть» [наст. вр.] для I класса; **baa//ba** для III класса).

Мы предполагаем, что вспомогательный глагол должен был находиться на левой ножке IV грани подсвечника. Эта ножка существенно повреждена, но можно различить знак, точная идентификация которого представляется невозможной.

Надпись должна быть реконструирована в следующем виде: **ЧБЧ [Б-Ж]**

ЅЅЅ (ibi [va] yar) «[подсвечник] сделавший есмь¹ гар».

Граффити на черепке № 2



¹ Кавказско-албанский глагол не имеет категории лица.

Черепок является, видимо, фрагментом какого-то керамического изделия. Размеры 16х4 см. Надпись состоит из 4 четких и 1 или 2 стертых букв.¹

Перевод А.Г. Абрамяна — «Ничтожный» (транскрипция **mayar**).²

Прочтение Г.А. Климова — **manas[e]** (им. собственное).³

С.Н. Муравьев заметил, что надпись является фрагментом албанского алфавита № 29-33 с оговоркой, что автор вместо буквы № 32 ошибочно поместил №34.⁴

Можно согласиться с мнением С.Н.Муравьева с одним замечанием. Мы считаем, что автор не допускал ошибки. По нашему мнению, в матенадаранской №7117 рукописи № 32-ая графема дана в искаженной форме (). Достаточно поднять левый крючок этой графемы, и мы получим №4 букву надписи.

Эту графему нельзя идентифицировать, как № 34 **ჳ** (**ž**) (**žajn**). У нее u-образный, а не o-образный верх и дополнительная черта справа.

Знаки надписи несколько отличаются от букв палимпсеста. Можно предположить, что граффити исполнено в более ранний период. Об этом свидетельствует форма №30-ой (№2 буква надписи). У нее, в отличие от соответствующего знака палимпсеста, имеется вторая дополнительная нижняя черта. В албанском палимпсесте 3 графемы **ჲ**, **ჳ**, **ჴ** (№1, №19, №30) имеют практически идентичное начертание, что не могло быть так задумано создателем кавказско-албанской азбуки. Нужно полагать, что в оригинале алфавита эти буквы имели элементы, существенно отличающие их друг от друга, срв.: армянские **զ** (**z**) и **ձ** (**ž**); **զ** (**z**) и **ճ** (**č**), которые в армянской эпиграфике V в. имеют отличительные черты, но в процессе развития армянской письменности приобретают схожее начертание.

По нашему мнению, упрощение №30-ой было продиктовано интересами скорописи, и при этом нарушалась ее оппозиция к №1 **ჲ** и №19 **ჳ** знакам албанской письменности.

Идентификация пятой частично стертой графемы проблемна. Она вполне может являться № 33 **ჴ** (**š**) (срв. начертание аналогичной буквы надписи на черепке №1; графема №8; см. иллюстрацию⁵).

Эту графему, по нашему мнению, нельзя идентифицировать ни с №42

¹ Вахидов Р. М., Минкэчевыр эпиграфик абидэлэранин археоложи характеристикасы, Известия Академии наук Азербайджанской ССР, серия общественных наук, № 4. Баку, 1958, 113.

² Абрамян А. Г., Дешифровка надписей кавказских агван, Ереван, 1964, 58-59.

³ Климов Г. А., К состоянию дешифровки агванской (кавказско-албанской) письменности, Вопросы языкознания, № 3, Москва, 1967, 78.

⁴ Муравьев С. Н., Три этюда по кавказско-албанской (алуанской) письменности, Ежегодник иберийско-кавказского языкознания, т. VIII, Тбилиси, 1981, 280-281.

⁵ Муравьев С. Н., Указанная работа, 273.

(**Л**),¹ ни с № 43 (**h**).²

Мы предполагаем, что и здесь мы имеем точное повторение № 29-32 ряда матенадаранского списка.

Граффити на черепке № 2 интересен и в другом смысле. Логично предположить, что на сосуде, обломком которого является данный черепок, был представлен весь албанский алфавит. Так как перед первой буквой надписи имеется пустой, неповрежденный участок, то можно заключить, что буквы алфавита были разделены на группы. Какое количество букв было в каждой группе? Необходимо учитывать, что надпись начинается с №29 алфавита, т.е. до нее было 28 графем (возможно, больше, но никак не меньше; это предположение основано на том, что в алфавитной части эчмиадзинской рукописи есть много случаев пропуска нужных букв и нет ни одного добавления лишних, лишь в арабском одна и та же буква повторяется дважды). 28 можно разбить на 2, 4, 7, 14, хотя нужно учитывать, что каждый отрезок должен был состоять из 5-6 букв (число знаков надписи). Выходит, что принцип передачи алфавита должен был быть выражен через 28х2, 14х4 или 7х8. В итоге мы получаем 56, хотя последний отрезок мог быть неполным. В любой пропорции (с учетом того, что до этого отрезка могли быть пропущенные буквы) мы имеем число больше 52-х (число знаков албанского алфавита согласно спискам армянских рукописей): вероятно, 55-56, срв. мнение З.Н. Алексидзе: «В албанском тексте общее число графем должно было составлять 54-56».³ А.Г. Абрамян также считал, что в албанском алфавите должно было быть 54 графемы, по аналогии с армянским, греческим, грузинским, в которых для передачи цифровых значений общее число букв разбивалось на 9.⁴

В качестве противоположного аргумента можно привести то, что при сравнении албанского и армянских алфавитов усматривается некая математическая закономерность. Если разделить албанский и армянский алфавиты на две или четыре части, то мы получим тождество албанских букв с их армянскими коррелятами. Если делить на две части, то в I части 26 албанским буквам соответствуют 18 армянских; во II части – 26=18. Если делить на четыре части, то в I части 13=11; во II части 13=7; в III части 13=7; в IV части 13=11.

Если допустить существование «дополнительных» букв в албанском алфавите, то эти пропорции, естественно, нарушаются.

Мы предполагаем, что это простое совпадение; нужно отметить, что между армянским и греческим (армянский алфавит, без всяких сомнений, базируется на греческой парадигматике) закономерности такого рода не прослеживаются.

Хотелось бы вернуться к вопросу данного в армянских списках следования

¹ Абрамян А. Г., Дешифровка надписей кавказских агван, Ереван, 1964, 58-59.

² Климов Г. А., К состоянию дешифровки агванской (кавказско-албанской) письменности, Вопросы языкознания, № 3, Москва, 1967, 78.

³ Алексидзе З.Н., Письменность, язык и литература Кавказской Албании, Тбилиси, 2003, 151 (на груз. яз.).

⁴ Абрамян А. Г., Указанная работа, 34.

букв албанского алфавита. Можно высказать предположение, что переписчики этих рукописей расположили графемы албанской азбуки в армянском алфавитном порядке и, как следствие, албанский алфавит «арменизирован».

Это предположение представляется нам маловероятным, так как алфавитный порядок представленной в этих рукописях кавказско-албанской азбуки, как показано выше, частично подтвержден двумя неполными эпиграфическими списками и случаями употребления графем для обозначения чисел в албанском палимпсесте.

Подробнее остановимся на позиции некоторых букв:

1. №8 буква албанского алфавита **բ** «*žil*» изображена на *надписи №2 на подсвечнике* между буквами №7 **ւ** и №9 **ճ**. Эти буквы соответствуют греческим **η** и **θ**. Как известно, в греческом между этими знаками нет никакой буквы;

2. №30 буква албанского алфавита **չ** «**qar*» изображена на *надписи №2 на черепке* между **մ** и **ն**. В греческом между **μ** и **ν** нет никакой графемы;

3. Как показано выше, буква **դ** «*dan*» употреблена вместо числа – 90 и, соответственно, является №18 буквой албанского алфавита. В греческом на ее месте находится «эписмон» **ς** «*корра*».

Эти примеры показывают, что албанский алфавит помещает графемы для своих специфических звуков между «греческими» буквами алфавита¹. Исходя из этого, можно заключить, что представленный в армянских списках албанский алфавитный порядок заслуживает доверия и исследование албанского письма должно базироваться на данных этих списков.

¹ Это сближает албанский алфавит с армянским, хотя логично допустить, что албанский использует похожий принцип расстановки букв независимо от армянского. Исследование армянских письменных источников, парадигматики и графических основ кавказско-албанского алфавита показало, что участие Маштоца (того же Месропа) в создании кавказско-албанской азбуки можно исключить. Если бы албанский был создан Маштоцем, то он бы пребывал в таком же отношении с армянским, как и последний с греческим, срв.: армянский использует 21 букву греч. алфавита, т. е. № 1-24 классического греческого, за исключением «эписмонов» и «кси», точно сохраняя порядок их следования и фонетические значения, если не брать в учет **լ/ł** и **ր/ř**, но и это фонемы с близким звучанием. При сравнении же армянского и албанского алфавитов выясняется, что албанские фонетические соответствия как минимум 4-х армянских букв занимают в алфавите другие места (resp. не совпадает их позиция с аналогичными армянскими), напр., арм. **թ (j)** / алб. **չ (q)**; арм. **զ (ž)** / алб. **ս (y)**, причем аналогичные фонемы в албанском были. Также, существенным образом, противопоставлены графические структуры обоих алфавитов. Исходя из этого, для нас неприемлемо мнение ученых, *a priori* считавших, что албанский алфавит – продукт творчества создателя армянской азбуки (А.Г. Абрамян, С.Н. Муравьев и др.). Комплекс вопросов, связанных с происхождением того или иного письма, требует большой осторожности.

Вопросы кавказско-албанского языка и письменности, и в том числе, проблема генезиса албанского алфавита, рассмотрены в нашей монографии «Вопросы структуры кавказско-албанского языка», опубликование которой планируется в этом году.

R. L o l u a (Tbilisi)

**Towards the arrangement of Caucasian Albanian alphabet
(discussion on two Albanian epigraphic monuments)**

S u m m a r y

The article discusses the issue of reliability of Albanian alphabet arrangement in Armenian manuscripts (Matenadaran's N 7117 manuscript and so-called A.Kurdiani's manuscript) which is essential for the studying the genesis of Caucasian Albanian alphabet.

We can conclude that represented alphabet arrangement must be entirely precise. It is also proved by several examples cited from Sinai Palimpsest about using of graphemes which denote figures and two incomplete epigraphic schedule of Albanian alphabet.

Graphite N 2 on the candlestick. The graphemes which are written horizontally on it represent the fragment of N 1-10 Albanian alphabet, while the vertical inscriptions are facsimile. The sentence can be constructed like this: **ibi [va] ɣar** „maker are Ghar”(a proper name).

Graphite N 2 on the piece of tile. It represents the fragment of N 29-32 Albanian alphabet. This inscription gives us an opportunity to reconstruct presumably the number of Albanian graphemes – 55-56.